

რედაქცია: ს. კოლოკაძე, ბლის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типограф. ВЪ редакцію газ. „Пробѣ“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

სალკე ნომერი ღირს შაურად.

ფრთხილი

ფასი განსხვავების: ღირს ასობით ასობით—1 კაპ., ასობით ასობით—8 კაპ., ასობით ასობით—1 კაპ., ასობით ასობით—1 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბედათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ჯოჯოხეთი და მრავალბუნად

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ოქტომბერი, 17 აპრილი. ღრეს ვაიარა მბრუნევეა, რომელიც მიდის სტამბოლში ხელმწიფე იმპერატორის წიგნით სულთანთან. მბრუნევეს ამას გარდა მიჰქვს ბოლგარიელებისათვის ჩვენი ხელმწიფის პროკლამაცია: ბოლგარიელებს სთხოვს არეულობა არ მოახდინონ და დაეთანხმონ ბერლინის პირობას.

მინა, 18 აპრილი. შუვალოვი წავიდა ლონდონში. იგნატიევი აქ ჩამოვიდა.

კამბარული, 19 აპრილი. მმართველობის უწყება გვატყობინებს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა შესწირა მრენვებურგელებს, რომელთაც ცეცხლით დაეწვათ სახლკარი, 10,000 მან. მოსკოველებს, რომელნიც წყალდიდობის გამო დაიხარგნენ, 10,000 მან. და 5000 მან. ღარიბ მოსკოველებს. მთავარ მმართველი ნიკოლოზის ძე გუშინ წაბრძანდა პორონევის გუბერნიისაში.

ორმხურლი, 13 აპრილი. დაიწვა 49 სახლი, 2 საყდარი, მეჩეთი, 4 წისქვილი, 292 ღუქანი და სხვ. ცეცხლსაგან; დაჩაგრულების შესდგა კამიტეტი, რომელმაც დაიწყო მოქმედება.

საქართველო

ბანკის აგებები და შავი აგები

— ვინ იქმნება მიცვალებულის ბესარიონ ლობჯინიძის მაგიერ აღმორჩეული შუთაისის თავად-აზნაურობის ბანკის გამგეთა?

აი, დაკითხვა, რომელსაც წრეულს არ მოელოდნენ აქ ჩვენი მებანკეები და მეკენჭეები, და რომელიც ეხლა ახირებულად აფიქრებს, ტკბილად ასიზმრებს და სიზმარში ნახულ მოჩვენებების გამო მეტად ახალისებს და აიძვლებს ზოგიერთ ბატონებსა და ბატონისშვილებსა.

ჩვენი თავად-აზნაურობის ბანკი დარჩა სამი წლის ობლათა და თუმცა ობოლი, კარგი მამის დამკარგველი საცოდავი რამ არის, მაგრამ ნათქვამია: „ობლის მამა ღმერთიაო“; და არც თუ ისე ძალიან საცოდავი რამ არის ეს ჩვენი ობოლი: ფენი კარგად აუღვია, მისი გი-

რაობის ფურცლები (ხაკლადნი ობობები) დიდ სეჭო მოედანზედ, რომელსაც უძახიან ბირჟასა, კარგად დაიბრუნებინა; კბილებიც კარგად ამოსვლია ამ სამი წლის ობოლსა, როგორც ეს სჩანს იმიდგან, რომ ეს გირაობის ფურცლები კარგ ფასად ისყიდებიან; გარდა ამისა ამ ობოლს ჰყავს ორი ანგელოზი: ხერუვიმი და სერაფიმი, ექვსი ზედამხედველი—ოპეკუნი და სხვა მრავალნი ხლებულნი... შეძლებით ხომ მდიდარია და მდიდარია: მოგვხსენებთ, რომ ეს ობოლი სამი-ოთხი მილიონის პატრონია.. და ეს ფულით სიმდიდრე აძლევს ამის აპეკუნებს დაუფიქრებელს გულის სიუხვსა, რათა დაენიშნათ ჯერ მამისთვის და ეხლა მამინაცვლისთვის წელიწადში ჯამაგირად ოთხი ათასი მანეთი, გარდა იმისა, რაც აღნიშნულია მისდა სასარგებლოდ ოთხმოც-და-მეთოთხმეტე მუხლითა, სინაის მთიდგან მოტანილ მცენებაში...

წელიწადში ოთხი ათასი მანეთი, მილიონერი ობლის მამინაცვლობა, მისი შემოსავლიდგანაც საყუათო წილი; პეტერბურლისკენ მოგზაურობა, იქაურ ფინანსისტების და ბანკირების გაცნობა, იმათთან მიწერ-მოწერა, საქმის დაჭერა, მინისტრებთან მოლაპარაკება ამ ობლის საქმეებზედ; ამ დიდრონებთან თუ სადილის, ან ეახშმის ჭამა არა, ბუბლიკით ჩაის დაღვეა მინცა.... ბატონებო! ბატონებო!... ეს იმისთანა რეცეპტი გახლავთ და ამ რეცეპტით შერდგენილი შარბათი ისეთი ძლიერი ბანგი რამ გახლავთ, რომ ამისი მიღება კი არა, მარტო მიღების სურვილიც კი ზოგიერთ სუსტ ძარღვიანს კაცებსა, ნერვიანს რომ ეტყვიან, არა თუ ღრმად მიძინებს და ტკბილად მოასიზმრებს ნაირ-ნაირ მოჩვენებასა, არამედ იმ ძილში ბევრსაც აკუბტრუმებს და აბროგებს...

მებანკეები და მეკენჭეები შეგროვილ იყვნენ მოსალოაპარაკებლად მასზედ, თუ რანაირი კაცი უნდა იყოს ამორჩეული ობლის მამინაცვლათაო?

ზოგს მოუთხოვია სამამინაცვლო კაცის პირველ ღირსებად—უანგარობა, ზოგს — პატიოსნება, ზოგს — ჭკუის ბრწყინვალეობა, ზოგს—მტკიცე ხასიათი და ერთს ჯიხანიშელს პესტალოცსა, ყრმათ აღმზრდელსა, წარმოუთქვამს ის ღრმა ჰაზრი, ის შეუცდომელი და მოსწავლეთათვის სამაგალითო ჭეშმარიტება, რომ ამისთანა მდიდარი ობლის მამინაცვლათაო უნდა იყოს წარმოსადგენი კაციო,

ტანად მალალო, შესახედავთ ლამაზი და ლაზათიანით, —რადგანაც საჭიროა პეტერბურლში დაინახოთო, რომ თუ ქუთა არ გვეიარგია, ტანადობა მაინც გვექონიაო.

მანამ ეს მეკენჭეები და მებანკეები იყვნენ ერთს დიდ მოაზრებში, თუ რანაირი პორტრეტი დაეხატად მომავალი მამინაცვლისა, —ზოგიერთ ბატონებს ვერ მოეთმინათ და ანთებოდათ გულში უზომოთ სურვილი იმ ზემო აღწერილ რეცეპტით შერდგენილ შარბათის მიღებისა და მის გამო მისცემიან ერთს რაღაც ტკბილ ფიქრებსა და სიზმრებსა... ავერ ერთი მათგანი ასე ფიქრობს:

— ბესარიონის ბრწყინვალე ადგილი მე უნდა დავიჭირო; მისი ადგილი მე მერგება მეშვიდრეობითა; და თუ მე არ ვიკისრე ამ ჩვენი თავად-აზნაურობის ბანკის გამგეობა, შეიძლება ეს ადგილი ვინმე სხვას ერგოს; და მაშინ დაიღუბება არა თუ მარტო ბანკი, არამედ ჩვენი სამშობლო ქვეყანაცა. თუმცა კი მართლა ეს ასე არ არის, მაგრამ უეჭველად ეს ასე უნდა გამოვიყვანო, თორემ ჩემი საქმე წახდება: გამოჩნდებიან ჩემს მოპირდაპირეებში იმისთანა კაცები, რომელნიც ჩემზედ ნაკლები ნიჭიერები, მსწავლულები და პატიოსნები არ არიან; და იქმნება კიდევ ღმერთი გამიწყრეს და იმათ ჩემზე უკეთ წაიყვანან ჩვენი საზოგადოების საქმე; ოთხი ათასი მანეთი; კიდევ ათასიოდე მანეთი, შემოსავლიდგან წილი იქ, იმასთან... მინისტრ... ბუბლიკით ჩაის დაღვეა!... მჰ! რა სასიამოვნოა!...

მიძინებს და ძილში ესიზმრება: ჯიხანიშდგან დაწყობილი მთელს ღუბერნიას სურს მისი მამინაცვლობა. სენებიც კი მორბიან მასთან, შენ გვიპატრონეო.— მოდის დუბუტაცია-დუბუტაციაზედ... ტევა აღარ არის ვიწრო კიბეზედ... მუხლთ მოღრეკილნი და ზეცისკენ ხელ-აშვრილნი ევედრებიან:

— მწყალობდეს ჯიხანიშის მთავარ-ანგელოზი! ბვიშველე ბატონო! შური გვიგდე! ბვიპატრონე! შენს იქით გზა არა გვაქვს! მთხოვეთ, მიკისროთ ჩვენი საცოდავი ობლის მამინაცვლობა...

— ოთხასი თუმანი ხომ იქნება ჯამაგირათა?

— რა ბძანებაა! თუ გნებავთ კიდევაც მოგიმატებთ.

— თუმცა (მე საზოგადო საქმისთვის თავ-გადაღებული ვარ და იმისთვის ასე ხშირად ვიცვლი ხოლმე სხვა-და-სხვა მუნდერსა, მაგრამ სწორე მოგაჩვენოთ,

...დნი ობლებს თუ ობლებს იმდამდე... ადგილ ამოაბიძგნი იქს ილონობაზედ



ამ უკანასკნელად რომ ჩემი მუნდერი მივტოვე და საზოგადო სარგებლობის გულისთვის ჩემი ჯიბეების გატენა რომ მოვიტურვე და ვერ მოვხერხე რის გამოც ისევ მალე მუნდერში გამოვეხვიე, მეტიან-მეტად დავშინდი;—და თუ იმ ოთხას თუმანზე კიდევ რამეს მოკუმ ტებთ და ხელ-წერილს დასდებთ, რომ შერეც ამომიჩივით, მაშინ პირობას მოგცემთ, რომ, ესლავ თქვენთანვე ცეცხლში დავწვა ეს ჩემი საყვარელი მუნდერი, რომ აღარ იყოს ამის ხსენება ჩემს კამოდში და რომ აღარ მომივიდეს სურვილი ამის ჯერ გულში ჩახუტებისა და მერე ისევ ტანზე წამოცმისა. თორემ ხომ მოგესხენებათ, ძველი და დიდი ხნის სიყვარული ძნელია... ძნელია...

ბაგრ ფიქრობს მეორე ბატონი, და თავის თავს ემუსაიფება:

— შექველად ღმერთი მწყალობს და ამ მოხუცებულებაში უნუგეშოთ არ მტოვებს. ამ ოხერი ბანკის გულისთვის პატროსანი ადგილი დავკარგე: ორას-ორმოცი თუმანი პენსიასავე ჯამაგირი მეძლეოდა. სიხარბე მომივიდა: იმას არ დავჯერდი და ვიფიქრე, ბანკშიდაც პენსიას გავიჩენ მეტქი; და თუმცა ეს იმედი შემისრულდა და ამ ბანკში პენსია გავიჩინე წელიწადში ათას-რვაასი მანეთი, რომელიც მეძლევა მხოლოდ გაზრდების საკითხავად, და გარდა ამ პენსიისა მეძლევა კიდევ ბანკის შემოსავლიდგან წილი იმოდენი, რომ მყოფნის ჩანს და შაქრის ფულად; შემის და სანთლის საყიდლად, მოსამსახურეების ჯამაგირის გასასტუმრებლად და თითქმის სარეცხის საპნის და ნახშირის საყიდლათაცა;—მაგრამ უბედურება ის არის, რომ პირვანდელი პენსია ორი-ათას ოთხასი მანეთი სრულიად მომესპო, და დავრჩი რიყეზედ.. მე როგორც ვხედავ, ბევრი უქმყოფილნი არიან ჩვენ ნასწავლ-ყმარწვილ-კაცებზედა; ამითი უნდა ვისარგებლო; და იმედი მაქვს სიხარულით ამომიჩიონ მე ბანკის გამგეთა. და სწორე მოგახსენოთ (თავის თავს იუბნება) კარგი გამგეც კი ვიქნები.. თუ მე არ ამომარჩიეს ჩვენი ბანკი დაილუპება. თუმცა რასაკვირველია (სულ ჩუმით ამბობს) ეს ასე არ არის, მაგრამ ეს უქველად ასე უნდა გამოვიყენო; თორემ თქვენი მტერი, ჩემი საქმე ცუდათ იყოს... შექველად ამ ადგილსაც დავკარგამ... ოთხი ათას მანეთზედ კიდევ ერთი ათასი მანეთი ბანკის შემოსავლიდგან, გახდა ხუთი ათასი... ძარგი ნუგეშია, კარგი სწორე მოგახსენოთ!.. მერე დაჯექი კნიაზო, იკითხე გაზეთები...

ამასაც მიეძინება და ძილში ესიხმრება: მოდის გურია ფებ-და-ფებ; უკან მოჰყვება სამეგრელო, იმერეთი, შორაპანი, რაჭა, ლეჩხუმი, ერთი სიტყვით ყველანი სენაების გარდა... (ჰაი! ის პლუტები! თითქო ბრიყვები არიანო).. ღვთაებები თავს ამტყრევენ ერთმანერთსა სიტყვის მოსახსენებლად და მოახსენებენ: — ღმერთმა ადღერძიქლოს ძველი კაცი, მაგარი ჭკუისა, ფრთხილი და დაუზარებელი! ძაცი თქვენისთანა უნდა!

ძნიაზი ნუ მოგიკვდება, მართალს მოგახსენებთ.—მართალია ფულს იღებთ, მაგრამ საქმესაც აკეთებთ! (ძნიაზი გაიღიმებს). ბატონო! გაზეთების კითხვაც საქმე გახლავთ; როდესაც საქმე არ გესმით, ახალგაზდა კაცივით არ ჯიუტობთ და ჯორივით ტლინკებს არ ისვრით. თუ არ გესმით, ეთანხმებით და ეუბნებით: თქვენ როგორც გნებავთ გარდაწყვიტეთ, მე ხელს მოგიწერთ; ჭკუაა მაშრა ოხრობაა ესა.—ფულს რომ გაიტანენ ხოლმე ბანკიდგან, გეჯავრებათ ქალაღზე ხელს არ უწერთ: „მიუტანეთ, სერაფიმემ მოაწეროსო“ ფულს რომ შემოიტავენ, ის კი ვიამებათ და შემოტანის ქალაღზე ხელს მოუწერთ ხოლმე.—აბა, ჭკვიანი და გაფრთხილებული კაცი რომ ბძანდებით, იმიტომ ჩადიხართ ასე ამას... ბანკის სარგებლობაც ეს არის, რომ არავინ ფული არ გამოიტანოს... ღმერთი, რჯული, რომ თქვენისთანა სამამინაცლო კაცსა ჩვენ ამ ობლისთვის ვერავის ვერ ვიპოვნით...

—მადლობელი გახლავარ; ღმერთმა ინებოს და შეისმინოს თქვენი სურვილი და თქვენი ნეტარება. მე და ჩემმა ღმერთმა სულ მართალს ამბობთ, და მადლობელი ვარ ამ გულწრფელ მოხსენებისათვის.

შს ბატონები რომ ასე ფიქრობენ და სულ ასე სიხარობენ, ბატონიშვილი აირა აღსარებას ეუბნება თავის თავსა, როგორც ლოტრანგი და როგორ ნუყეშობს.

თუმცა ბანკის ანგარიში ვერა გავიგერა და ვერაფერი შევისწავლე რა ამ სამი წლის განმავლობაში, მაგრამ ჩაინც განათლებულ კაცებში ვითვლები; მხედულობაც გვარიანი მაქვს, მაღალიც ვარ და წამოსადეგიცა იმედი მაქვს რომ მეგრელები ჩემს სიყვარულს ანაცვალენ ჯიხაშის მთავარ ანგელოზსა, ჩემს თანამოძმე ხერუეშსა და ყველას, ვინც კი მოსურვებს ჩამომაცალოს ორივე მხრით ჩამოტეხილი ფრთები.—ერთი ეს მაწუხებს (სულ ნელის ხმით ამბობს) რომ ამ სამ წელიწადში სრულიად არაფერი გამოიკეთებია რა ამ ჩვენი ბანკისთვის, მხოლოდ გავეჩვიე ჩემი სახელის გვარის მოწერასა.—სწორე რომ ესთქვა (ამას ისე ჩუმით ამბობს რომ ვისაც მძიმეთ ესმის ის ვერც კი გაიგონებს, სწორე რომ ესთქვა, მეც და ის ჩემი თანამოზიარეცა ბანკისაგან პენსის მიღებაში, ჩვენ, ორნივენი, ხესუვიში და სერაფიმი ღირსნი ვართ, რომ მევენჭებმა ერთს გოდორში ჩავგდონ და იმ გოდორით ბანკიდგან ჩვენ სახლებში გავვისტუმრონ... მაგრამ (ხმა მაღლა ამბობს) არ ვარგა ასე სულ მოკლეობა... ოთხასი თუმანი ფულია, ჩემგან არ დასაწუნია, ფულების ღმერთო! მომე მხნეობა!.. მე ვინ მჯობია, ან გვაროვნობითა, ან სწავლითა და ან უსაქმობითა? ვინ მჯობია მე, ვინა... ვინა?... ვინა?...

აშფოთებული მიეძინება და ესიხმრება: მოდის ოდიში, სულ დაიარაღებული ბურია, ლეჩხუმი, ზემო და ქვემო იმე-

რეთი, რაჭა, სენეთი... ჯარდა ჯარდა მისა... სოფანები, ჯვარბანები და მუნდალიანები სულ წინ დაუყენებიათ დეპუტატებათა და მოახსენებენ:

—ბატონიშვილო! ჩვენ შევიტყეთ, რომ თქვენ ხელს იღებთ და გამოდიხართ ბანკიდგან; შევიტყეთ, რომ თქვენ დაგიწუნიათ ათასს რვაას მანეთიანი პენსია; თუმცა ეს არ გეჯერა, რადგანაც ამოდენი პენსია სრულ ღენერალსაც არ ეძლევა, მაგრამ მაინც ამ ხმამ ჩვენ ძალიან შეგვაფიქრა უთქვენოთ ბანკი დაილუპება.—თქვენ უნდა მიიღოთ შრომა და დაგვითანხმდეთ ამ ბანკის გაბგეობაზედ; უნდა დაგვითანხმდეთ, რომ ნაცვლად ათას რვაასი მანეთისა მიიღოთ ხოლმე პენსიად არა ნაკლებ ოთხი ათასი მანეთი. თუმცა მართალია თქვენი ბრწყინვალეობა შესწუხდება ამდენი ფულის დათვლით და ჯიბეში ჩადებითა მაგრამ, რა გეწყობა საზოგადოებისათვის უნდა მოითბინოთ ეს შეწყუხება.—სამაგიეროდ, სავა საქმისათვის ნუ შესწუხდებით. თქვენ მხოლოდ გაზეთები იკითხეთ და ქალაღებზედ სახელი და გვარი აწერეთ.—მაცეც ბევრია, ესეც საქმეა, და თუ პენსიის მისაღების ფულის დათვლით და ჯიბეში ჩაღაგებით ძალიან დაილაღებით,—შეგიძლიათ თქვენო ბრწყინვალეობავე ეს საქმეც სხვიებს გააკეთებინოთ... ბატონიშვილო! თქვენი უსაქმობა გვიმტკიცებს თქვენს პატროსნებას; თქვენი უსაქმობისათვის ამ სამი წლის განმავლობაში თავის დროზედ ბანკისგან პენსიის მიღებაცა გვიმტკიცება თქვენს უანგარობასა.. და ეს ორივე გარემოება გვიმტკიცებს ჩვენ, რომ თქვენ ბძანდებით ერთგული შეილი მამულისა,—თავდადებული საზოგადოების კეთილ დღეობისთვის და ძვირად დამფასებელი საზოგადოების თქვენდამი რწმუნებისა... ამდენ ღირსებისათვის, ჩვენ მოვალენი ვართ, რომ ნაცვლად ამ ბანკის სერაფიმობისა, მოგანიჭოთ სახელი მამინაცლობისა, და ნაცვლად ათას რვაასი მანეთიანი პენსიისა, დაგინიშნოთ პენსიათა ოთხი ათასი მანეთი და მოგცეთ კიდევ გზის ხარჯი პეტერბურღში წასასვლელად და კიდევ სხვა ხარჯი, რომ თუ მართო იმათ ეწვიოთ ბუბლიკით ჩაიხვდა, არამედ თქვენც თითონ მოიწვიოთ ისინი თქვენთანა კარგათ ამოხელილ ღომზედ და სულუგუნზედა...

შს დეპუტატები ვისაც არ სძინავს ყველას არწმუნებენ რომ სულაც სახლიდგან ფეხი არ მოგვიცვლია, მხოლოდ ისე მოსჩვენებია ზოგიერთ ბატონებსაო ჩვენი მუთაისში ჩამოსვლაო. სამამინაცლო კაცები კი ჯერაც ვერ გამოფხიზლებულან, ისე გაბრუებულან შარბათის დაღვეის სურვილით... სიხმარში არიანო, რაღაებიც ებლანდებათო და სულ რაღაებსაც ბოდავენო.

ბატონებო! მე ნასწავლი დოხტორი არ გახლავარ, მაგრამ ცოტათი კარაბადინი კი მიკითხია.—მით რჩევას მოგახსენებთ, და ნუ გამიწყობით: ბევრს

სამალში ურევია საწამლავე; და თუ ეს წაწამლავე ზომით არის გარეული, მაშინ ხომ მკურნალი რამ არის; და თუ ზომამზე მეტია, მაშინ ძალიან საფრთხილ და საშიშო რამ ის საწამლავე: ჯერ თავს გაუბრუვებს, მერე მიადინებს, მერე აბროგებს, რალაც ტკიბლ სიზრმებს ასიზრმებს და ბოლოს სულ კისერსაც მოსტყნს...

ის შემოხსენებული რეცეპტი, რომელიც ჩვენ ობლის აპეკუნებს შეუდგენიათ, ვერ არის სიფრთხილით და კარგი მოაზრებით შერდგენილი წამალი. იმაში ურევია ორნაირი საწამლავე: ერთი მეტად ფიცხი და ძლიერი—ეს საწამლავე—ფული; მეორე კი უფრო სუსტი საწამლავე განლამთ, რომელიც მხოლოდ გიჟურ და ბრიყულ რამეებს მოაღიანდებს,—ეს განლამთ ბუბლიკიანი ჩაი.

შუილი საჭირო განლამთ; მაგრამ ოთხი ათასი მანეთი ძალიან ბევრია. ჩემს კარაბადინში სწერია, რომ ორი ათასი ოთხასი მისხალი, ესე იგი მანეთი სრულიად საკმარისიაო, ისე როგორც ქალაქშია: მაგრამ რადგანაც ქუთაისში ნოტიო ჰაერიაო შეიძლება უშიშრად მიეცესო სამი ათასი მანეთამდიაო რომ ზოგჯერ ქალაქისკენ გაისეირნოსო ჰკუთის შესამაგრებლად, და აქაურ ნოტიო ჰაერისაგან ხავისს და ობის მოსაცილებლად. ბუბლიკიანი ჩაი კი სრულიად საჭირო არ არისო ხამათ. ეს მხოლოდ ტყვილა უბრალოდ ჰკუთს შეუბერტყამს და ამდგან სხვა არაფერი ნაყოფი არ გამოდნებაო მე იმედა მაქვს ამ რეცეპტზედ შერდგენილ შარბათითა არავის მოეკიდოს ძილი და არავის მოუვიდეს ბრიყული სიზრმები, და ვისაც მოკიდებული აქვს დღესაც ძილი, იმდია რომ ისინიც მალე გამოფხიზლდნენ... და მაშინ დაინახავთ თუ რა არის მათი ნამდვილი მუცლის გლეჯა: და ზოგიერთს ისე დასუსტებია სიცოცხლის ძარღვები, რომ ეს შარბათიც ათრობს და კრუხად გაჩენილს ანდომებს მამლობასა,—მაშინ საჭიროა ბატონებო, ამისთანა ახირებულად გონება დაბნეულისთვის და ძილად გარდაქცეულისთვის — გადააყლაპოთ ბლომად შავი აბები—მთელ ქვეყანაში განთქმული შავი აბები... მაგრამ ესეც ზომიერათ უნდა იხმაროთ, თორემ ეს ისეთი მაგარი ჯულაბი განლამთ, რომ თუ ზომამზედ მეტი გადააყლაპეთ ძილად და სიზრმით გარდაქცეულსა ამ შავმა აბებმა ის არა თუ გამოაღვიძოს და გამოაფხიზლოს, არამედ, მგონი ისე დაუფთხოს იმას ძილი, რომ ერთი საათის ძილიც მოანატროს. და ისე ხორცი ჩამოაცალოს და ფერი გამოუცვალოს რომ რაც უნდა სუქანი კრუხი იყოს, სულ შავ ყორანს დაამგზავოს...

მე კი ეს ასე მომიხსენებია თქვენთვის ჩემი კარაბადინის წაკითხულობა და ეხლა თქვენ იცით, ბატონებო, როგორც მოიქცევით და რა ჰკუთსაც გამოიჩინოთ თქვენი ამორჩეული კაცებითა.

ამას წინეთ უფ. ნ. შიფიანმა წიგნი მოგწერა დასაბეჭდათ; ჩვენ მაშინვე გინდოდა პასუხი გავეცა მოკლე შენიშვნით, მაგრამ ჩვენგან დამოუკიდებელის გარემოების გამო აქამდის არ მოხერხდა; ახლა აი!

„ღროების“ რედაქცია უმოჩიროსად სთხოვს უფ. ნ. ყიფიანს დაასახელოს ის ზოგიერთი კაცი, რომელთაც უფ. ღიმიტრი შიფიანს წინადადება მისცეს, იკისრებს თუ არა ის ქუთაისის ბანკის გამგეობას, საზოგადოებამ რომ მიიანდოსო. ჩვენის ფიქრით ყოველ კერძო პირისაგან ამგვარი წინადადება უფ. ღიმიტრი ყიფიანისადმი უადგილო და მეტიზარობა ყოფილა, სანამდის ამ საგანზე მთელი ქუთაისის თავად აზნაურობას ერთობრივ არ მოუღაპარაკნია და არ გადაუწყვეტია ქუთაისის ბანკის გამგეობის ამორჩევა. ამ შემთხვევაში თ. ნესტორ წერეთელიც ისეთივე კერძო პირია, როგორც სხვა ადგილმამულის მებატონე; იმას სხვებზე მომეტებული გავლენა, ხმა და უფლება თავად - აზნაურობის ბანკის საქმეების წარმოებაში არ უნდა ჰქონდეს. იმისი მოქმედების სფერა და თანამდებობა სულ სხვა საგნებს შეეხება. თ. ნესტორ წერეთლისთანა წარჩინებული და დიდი ადგილმამულის მებატონენი რაც უფრო შორს დადგებიან ბანკის საქმეებში და რაც უფრო ცოტა გავლენას იქონიებენ იქა, იმდენათ უფრო მოუხდება საყოველთაო კეთილ-მდგომარეობას და განსაკუთრებით საშუალო და მცირე ადგილმამულის მებატონე თავად-აზნაურობას; ამათი მცირე სესხები და სულის მობრუნება უფრო ააყვავებს ბანკს და მთელს ქვეყანასაც უფრო ხელს შეუწყობს, ვიდრე ერთი და ორი დიდი მემამულე-კაცების ხელის გამართვა, რადგან ამათი ინტერესები და წერილი შეუძლო თავად-აზნაურობისა ძალიან შორი-შორს დგანან ერთმანეთზე. რაც პირველს გამდიდრებს, ის მეორეს ზურგზე ტყავს აძრობს. ეს ასე ყოფილა და ასეც იქნება, სანამდის მცირე ადგილ-მამულეებიანი არ დაანებებენ თავს დიდ თავადების უკან დევას და თავის წრის გონებით დაწინაურებულის გვარის კაცების გარშემო არ შეიკრიბებიან.

დღიური

* ჩვენ გვატყობინებენ, რომ კვირას შემდეგი ამბავი მომხდარა სამხედრო გიმნაზიაში: თ. ვ. წერეთლის შვილი ყმაწვილების ზედამხედველს ი. ბუღაევს სდომნია ბნელ ოთახში მაგრამ მიზნის შეუტყობრათ დამწყვდევა. შიშვილი მას არ დამორჩილებიყო, რისგამოც ი. ბუღაევს დაეძახნა თურმე სალდათებისათვის, რომელთაც ძალათ წვეთრათ და იმ თრევაში მისი ფეხები და ხელები სუმთლათ გაესისხლიანებინათ. როდესაც კნ. წერეთლისა მისულა მიზნის შესატყობრათ ამნაირ მოქმედებისა, ი. ბუღაევს უარი უთქვამს პასუ-

ხის მიცემისა, რისგამოც კნენია წასულა უფ. დირექტორთან საჩივროდ და მაგრამ იმას პასუხათ მიუტყდა რომ ი. ბუღაევი ავითმყოფი კაცია და იმას მიეტყვება ყოველი ამნაირი ქცევაო.


საკვირველი თავის გამართლებათ! * ზაზეთ „Новое Время“-ში იწერებიან, რომ ამ დღეებში უკანასკნელ სხდომაში ძავეკასიის კომიტეტმა გაარჩია პროექტი, რომლის მიზანია, სამოქალაქო კეთილდღეობა დააყენოს მალალ ხარისხზე და გააერცელოს ქრისტიანობა ძავეკასიის ხალხში ძავეკასიის ხალხის კეთილდღეობას ამ პროექტში ოთხ უმთავრეს ჰაზრზეა დამყარებული: 1) დაახლოვოს ძავეკასია რუსეთთან რკინის გზების გაყვანით ყველა მხრივ და ახალათ შემოერთებულ ქვეყნებშიც. ზაიყვანოს გზები ყველა ძავეკასიის შინაგან მაზრებთან და სოფლებთან შესაერთებლათ. 2) გააერცელოს და დაანერგონ ხალხში განათლება, ადგილობრივ ენაზე დაწყებითი სწავლა. 3) გააუჯობესობა მიწის მფლობელობის საქმე მეშვეოი ნაწილის გადაკეთებით. 4) ზაუყეთესოს დაბალი ხარისხის ადმინისტრაცია

** სომხის გაზეთში სწერენ, რომ ამას წინეთ პესტრიაში მიცვალებულა ერთი მდიდარი ფრანგი რომელსაც მთელი თავისი სიმდიდრე სომხების უკოლებისთვის დაუტოვებია. შრანგები არ ანებებენ სომხებს ამ ფულებს და ამის გამო ინგლისში ლონდონში საჩივარი შეუტანიათ სომხებს.

** მართლიდამ დიდ შეწუხებას გწერენ ამ უწვიმობის თაობაზე: ყანები სულ ერთიან თითქმის მომწვარია, ამ უბედურებასთანაო გვალვის გამო გაჩდნენ ბევრი თავგები, ისე რომ მთელ კირანხულს გვიფუჭებენო. ამის მაგიერათ ძახეთიდამ კი იწერებიან რომ წვიმები ხშირი გვაქსო.

** ძალაქის რჩევის სხდომაზე 16 აბრილს ჰქონდა მოლაპარაკება იმის თაობაზე, რომ შეამოკლონ ძალაქის მოხელეების რიცხვი (შტატი)

ამაზე რამდენიმე ხმოვანმა სთქვა რომ ამის გარჩევა დაჩიეს შემდეგისთვის როცა ძალაქის შემოსავალ გასაღლის ანგარიშს გავშინჯავთო და ან ამ წინადადების განხილვა გადავცეთ კომისიისაო. ზადაწყვიტეს ამაზე მოვლაპარაკნათ. შემდეგ გაწყვიტეს დაენიშნათ სამი ტენიკი- ერთი ინჟინერი გამგეობისაგან დანიშნული შემდეგ ამოიჩიეს პრიკაზის დირექტორებათ: უფ. მირიძანოვი, დამფასებელი კომისიის წევრებათ; უფ. აკიმოვი აღზახოვი და ტერ-მსკვიანცი. ძალაქის საავათმყოფო დირექტორათ ა. სურინოვი.



„დროების“ კორესპონდენცია

თელავი, 16 აპრილს. წელს მე გამო-
 თენდა აღდგომა სოფელს მისტაურში და
 როგორც ქრისტიანი წავედი აქაურს ეკ-
 კლესიაში ჯერ წირვის მოსასმენად და
 შემდეგ ხალხის სანახავად. სანამ მე მი-
 ვიდლოდი. მღვდელი კიდევ შემოსილიყო
 სვეტაკ ტანისამოსით და უფლიდა ეკ-
 კლესიას გარს. სამჯერ რომ შემოუარა,
 შემდეგ ჰკრა კარებს ერთი მაგარი წიხ-
 ლი და შიგ შევიდა. მე და ხალხიც თან
 შევეყვით. სოტა ხნის შემდეგ ასტყდა
 საშინელი ყატყატი და ქოთქოთი, თი-
 თქოს ახატული თათრები არიანო და
 თან მოჰყვებ ბოლომოუდებელი თავებს
 ტუსეა. მითქმის არაფერ გამოსულა და-
 უმწყალობებელი, მეც კი, როგორც
 სტუპარს, ნიშა ხარივით კობრო შები-
 ტუსეს. ამ თავების ტუსეამ ისეთი მყრა-
 ლი სუნი და ბოლი დააყენა, რომ გე-
 გონებდათა ღორები დაუტუსიათ წა-
 ლამზედო. მითთონ დიაკვანსაც, როცა
 გამოვიდა შუაზე და დაძახა, „დასუ-
 ლისა შენსათანა,“ მისცეს თმაში ცე-
 ცხლი და უმოწყალოდ გადახუნეს. მე
 მიკვირს, რომ ამ თავებს ტუსეამ უხი-
 ფათოდ ჩაიარა. მა თუ გასაკვირველია
 მღვდლის მღობაროვის გულ-გრილობა
 ამ უწყსოვების მოსასპობად გასაოცარია.
 ჩვენს მამას ეს ურიგოება დროს გა-
 სატარებლად მიანდა, თორემ იმ დროს,
 როდესაც დიაკვანს ამწყალობებდნენ
 და მღვდელი აღსაყლის კარებში უკმევედა,
 რათ დააფიწყდა თავის წესის ასრულება,
 დადგა და უყურებდა ამ ჩრადლობას
 სანამ გულს იჯერებდა. ჯერ ხომ ამ
 ხრუკის სუნმა კინალამ დამარჩო და მე-
 მრე დიაკვნის დაუწყნარებელმა „აჟაია,
 აჟაია“ ძახილმა კინალამ არ დამაყრუა.
 ამ მღვდელ-დიაკვნის კითხვის და წესის
 ასრულებასზე არა ვთქვარა, რადგანაც
 ამაში იქნება პირველობა სხვას ვკუთ-
 ნოდეს, გალობაზე მაინც ვიტყვი, რომ
 მისტაურის დიაკვანმა არ იცის სრული-
 ად არც პარბელოვის და არც სხვა რი-
 გი გალობა, რომელსაც კი სადმე ეკ-
 კლესიაში გალობდნენ; უეჭველია, თვი-
 თონ მოუგონია ეს გალობა და გაიძა-
 ხის გულის და გონების ასარევად აჟა-
 ია, აჟაია“. ამ ნაირმა სურათის ნახვამ,
 სწორეთ ვითხრათ, გრეთ გამომიყვანა.
 აქ, გრეთ, ვახან მოყაყანე ხალხის გრო-
 ვა. მეც მივედი და მათ მიუტოლდი.
 შემდეგ ვკითხე, რატომ ეკლესიაში არა-
 ხართ? იმათაც ის პასუხი მომცეს, რა-
 რაც მე მოგცემდით, რა გეკითხათ, თუ
 სად გაზოვედი. ამასობაში ლაპარაკი ჩა-
 მოვარდა მღვდელზე და სოფელელებმა
 მითხრეს: „უმაწვილო, ღმერთი ვადღე-
 გრძელებს, რა გულის წმინდით უნდა
 მივიდეთ ეკლესიაში, როდესაც ვიცით,
 რომ მანდ ლოკულობს მღვდელი მღობ-
 ბაროვი, ის მღობაროვი, რომელიც
 მკედრის წინ გაძლოლას და ანდერძის
 აგებას არა ჰკადრულობს და გვიშორებს
 ამ სიტყვებით: „ქალაქებში ნახევარზედ

წინ სულ არ უძღვებიან და მერა წინა
 ხარივარ ჩემს საქმეს მოვსდებ და ვინც
 მეცხვარე ან მერუე მოკვდეს, იმას წინ
 გაუძღვ და ანდერძები უგო“. მე ეს სწო-
 რეთ ვერ გავიგე და ვკითხე, თუ საქმე
 რაში იყო. იმათ მითხრეს: „უმაწვილო“,
 ამ ერთის თვის წინეთ, მოკვდა აქ ერ-
 თი მონუტეგული კაცი, რომელსაც თა-
 ვის სიცოცხლე აქ, ამ სოფელში გაეტა-
 რებინა, შეატყობინეო მღვდელს ანდერ-
 ძის ასაგებად და წინ გასაძლოლად, მა-
 გრამ თქვენც არ მომიკედეთ, მღობა-
 როვმა ამაზე თავი არ გაიხსენა და გულ-
 გრილად შემოსთვალა:—„წადით და სა-
 დაც გინდათ იქ დაჰმარხეთ, მე ოხერი
 კი არა ვარ, სადაც ოხერი მკედარიცა-
 ხო, იმათ ანდერძები უგო და ემარხო“.
 „მართლაც, აი თვე ვადის და ანდერძი
 კიდევაც არ აუგია იმ საწყლისთვის“.
 მე ვკითხე, თუ ასე სამღურავი გაქვთ
 მღვდელზედ, რატომ მთავრობას არ
 ატყობინებთ?—მაშინ სულ წყველა ქალ-
 ვას დაგვიწყებდა, და ვინ იცის ეს ჩვენ
 როგორ დაგვიჯდებოდაო. ან არა და რო-
 უჩივლოთ ხო მაგის ცოლმეილის ცო-
 ლაში ჩადგებით“, წამოიძახა ერთმა.
 ამ ჩვენს მასლაათში წირვა გამოსული-
 ყო და დიაკვანმა აღდგომა მომილოცა;
 მეც მიულოცე და თან ვკითხე, განა
 მართალია, რომ ერთი თვის მკედარი ან-
 დერძი აუგებელი გყავთ და ხალხს ამაზედ
 აშფოთებთ?—„პრა, ბატონო, გუშინ
 წინ აუგეთ ანდერძი და თუ აქამდინ არ
 აუგეთ, ეგ ჩვენ ვიცით, მანდ ხალხს სა-
 ქმე არა აქვს.“—მემრე მთავრობისა არ
 გეშინიანთ, მაგ ნაირ საქმეებს რო შერე-
 ბით?—„აქ საშინო, არა არის-რა, რო-
 დესაც ვიცით რომ მთავრობამდის ჯერ
 ვერ მახწყებს და თუ როგორმე მახწყია,
 მაინც ჩქარა ჩავაქრობთ.“ ამ პასუხმა
 გამაოცა და თვი დავანებე.
 რადგანაც მის წყველა ქოლვისა და
 მუქარისა არ მეშინიან, ამისთვის ვცხა-
 დებ, რომ ვისიც რიგია ყურადღება მი-
 აქციონ მისტაურის მღვდელს და მის
 განწყობილებას თავის შრველთან, თო-
 რემ მემრე ნუ დავმღურებინა ხალხს, თუ
 მათ დიდი გულისტკივილი არ გამოიჩი-
 ნეს სარწმუნობისადმი.
 მე აქამდინ მოგახსენებდით მღვდელ-
 დიაკვანზედ, ახლა მოგახსენებთ მისტა-
 ურზედ და ქრისტიურელებზედ: მისტაური
 მღვდარეობს ახმეტის ბოლოს, ძახეთის
 თავში და უჭირავს საუკეთესო ადგილი
 მოსავლი ათვის; თუმცა ხალხის საცხო-
 ვრებლად კი ჰაერი არ ვარჯა; აქ ადგი-
 ლის სიდაბლე, კაობები, ალაზნის სია-
 ხლოვე, ზაფხულში საშინელი სიცხე
 ღლისით ღამით კი სიცხევე ჰბადვენ მრავ-
 ვალს გვარს ციებ-ცხელებას და ბევრსაც
 ისტუმრებენ უცხოეთში. თუმცა ეს გა-
 რემოება ხელს ვერ უწყობს ხალხის გა-
 მრავლებას მაინც მისტაური კარგი მოზრ-
 დილი სოფელია და შესდგება ქართველ-
 სომხებისაგან. აქაური სომხები მიწის
 და საქონლის მიმდევარი არიან და
 ქართველებზე წინ წასულან, თუმცა კი
 ძრიელ ბინძურად ცხოვრობენ. აქ აღ-

გილის სიუხვეს ხალხსა უწყობს და
 ავსელობა დაუბადა. საკვირველია რომ
 მისტურის კაცი თუ ქალი, მოხელო, თუ
 არა მოხელო, სულ ქურდებად ირიცხე-
 ბიან. მისტურის ქალებში პროტიტუ-
 ციასაც ფეხი შემოუდგავს, არ ვიცრ კი
 ვისი წყალობით.

მისტურის თავში არის ერთი დიდი
 ქეთიკირის კოშკი, რომელსაც არ საი-
 დამ არა აქვს შესავალი და როგორც
 ეტყობა დიდი ხნის მოწამე უნდა იყოს.
 ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ეს კო-
 შკი ვისმე დაეტენა და ენახა, თუ შიგ
 რა ინახება.

მანო სიხივეი

უცხო ქვეყნები

საზრანბითი

პარიჟში მოსულან ბოლგარის და
 აღმოსავლეთი რუმელების გამოგზავნი-
 ლი პირები, რომლის მოთავეთ არის
 თურმე ზემოვი და რომელნიც ცდილო-
 ბენ აღმოსავლეთ რუმელების და ბოლ-
 გარის შეერთებას. ისინი ყოფილან მა-
 დინგროთთან და ზემოვეს უთქვამს, რომ
 ოსმალთს ჯარების შესვლა ბოლგარიე-
 ლებს გაუძნელდებათ. ამაზედ მაინგროსს
 მოუყვია, რომ ბერლინის პირობა უნდა
 ასრულდესო და მეიმის გამოცხლის
 თაობაზედ დიპლომატიური მოლაპარა-
 კება არ შემოძლიანო. ამის გარდა იმას
 უთქვამს, რომ ალექსანდრე-ფაშა აღმოსავ-
 ლეთის გენერალ-ლუბერ-ტორად ყველა
 სახელწიფოებს დაუშტეციციბიათ. მს პი-
 რები სცდილობენ, რომ თავ და თავს
 ყურნალისტებს თავიანთ მხარეს და-
 აჭერინონ. ამბობენ, რომ ეს პირები პა-
 რიჟილამ ლონდონში წავლენო:

—ბლანკი არის სამოც და ათის წლის
 მოხუცი, რომელმანც თავის სიცოცხლე
 გაატარა წვალებაში. ის ეწილამდევებო-
 და მმართველობის ცუდს მოქმედებას,
 რომლის გულისთვის იყო ხოლმე და-
 ტკირილი. ბლანკი ახლაც არის დაჭერი-
 ლი პლერფოში იმისათვის, რომ ში ოკ-
 ტომბერს 1871 წელს იმას უნდოდა
 მოეხდინა მმართველობის ცვლილება,
 რომლის მამაცობით ტაერის და ბისმარ-
 კის მოლაპარაკება შერიგებია იყო გაწ-
 ყვეტილი, ახლა ბორდოს დეპუტატით
 ამოირჩიეს ბლანკი და ყოველ ღონის
 ძაბებით ცდილობენ იმის გამოშვებას

განსხალბანი

„ჰაეროსტატი“

ბაქეღია ოთხ-მოქმედებად, თხზულება
 მ. ჯორჯაძისა